საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 12 დეკემბერი, 2024 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/19

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის ვადების დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №04-01/45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2024 წლის 27 ივნისის №4298-XIVმს-Xმპ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 დეკემბრის №405 და №406 დადგენილებების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის ვადების დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №04-01/45 დადგენილებაში და დადგენილების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის ვადების დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის ვადები, თანახმად დანართისა.“;

გ) პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის ვადები“ ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. დაევალოს აკადემიური საბჭოს ტექნიკურ მდივანს დადგენილება გადასცეს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ.კეჟერაძე**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024
წლის 12 დეკემბრის №04-01/19 დადგენილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის ვადები

სასწავლო წლის დასაწყისი 2024 წლის 16 სექტემბერი
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

შემოდგომის სემესტრი

.ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულებების გაფორმება (პირველკურსელებთან) – 02 – 09 სექტემბერი;
- აკადემიური რეგისტრაცია - 10 – 13 სექტემბერი;
- სააუდიტორიო მეცადინეობები - 16 სექტემბერი - 27 დეკემბერი;
- საშობაო არდადეგები - 28 დეკემბერი - 07 იანვარი;

. სააუდიტორიო მეცადინეობების აღდგენა - 08 იანვარი - 14 იანვარი;
- საგამოცდო პერიოდი: დასკვნითი გამოცდები - 20 იანვარი - 07 თებერვალი;

. დამატებითი გამოცდები - 10 - 14 თებერვალი;
- არდადეგები - 15 - 23 თებერვალი.

გაზაფხულის სემესტრი
- ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 17 - 19 თებერვალი;
- აკადემიური რეგისტრაცია - 20 - 21 თებერვალი;
- სააუდიტორიო მეცადინეობები - 24 თებერვალი - 06 ივნისი;
- საგამოცდო პერიოდი: დასკვნითი გამოცდები - 09 ივნისი - 27 ივნისი;
  დამატებითი გამოცდები - 30 ივნისი - 04 ივლისი.

მაგისტრატურისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

შემოდგომის სემესტრი
- ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 01-02 ოქტომბერი;
- აკადემიური რეგისტრაცია - 03-04 ოქტომბერი;
- სააუდიტორიო მეცადინეობები - 07 ოქტომბერი - 27 დეკემბერი, 08 - 28 იანვარი;
- საშობაო არდადეგები - 28 დეკემბერი - 07 იანვარი;

. სააუდიტორიო მეცადინეობების აღდგენა - 29 იანვარი-04 თებერვალი;
- საგამოცდო პერიოდი: დასკვნითი გამოცდები - 10 - 28 თებერვალი;
  დამატებითი გამოცდები - 03- 07 მარტი;
- არდადეგები - 08 - 16 - მარტი.

გაზაფხულის სემესტრი
- ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 10-12 მარტი;
- აკადემიური რეგისტრაცია - 13-14 მარტი;
- სააუდიტორიო მეცადინეობები - 17 მარტი - 27 ივნისი;
- საგამოცდო პერიოდი: დასკვნითი გამოცდები - 30 ივნისი - 18 ივლისი;
  დამატებითი გამოცდები - 21 - 25 ივლისი.

კვალიფიკაციის მინიჭება

• კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატისა და კვალიფიკაციის მინიჭება - 28-31 ივლისი.